



12029/4-2/21 2 09122021



12029/4-2/21

09-12-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თქვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი თვებების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED
TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE



KA030476329858221

საქართველო, თბილისი 0186, მიხეილ თამარაშვილის ქ. 15ა; ცხელი ხაზი 1505; ელ.ფოსტა: infolio@moh.gov.ge
Mikheil Tamarashvili str 15a, 0186 Tbilisi, Georgia; Hot line 1505; E-mail: infolio@moh.gov.ge

№ 09/3652

22 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი, მიმდინარე წლის 09 დეკემბრის 12029/4-2/21 წერილის პასუხად (სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში რეგისტრირებული N7370 განცხადებით, 15.12.2021), გაცნობებთ, რომ სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ზედამხედველობას ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის ან მეწარმე სუბიექტის (გარდა სამედიცინო დაწესებულებებისა) მიერ სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე, ასევე საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე და ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში იყენებს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით განსაზღვრულ სანქციებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური წარმოგიდგენთ 2020 წლიდან 2021 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლის საფუძველით დაჯარიმებული სუბიექტების რაოდენობას თვეების ჭრილში, ასევე აღნიშნულ პერიოდში „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების განმეორებითი დარღვევის საფუძველზე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შესაძლო შემცველობის საკითხის შეწავლის მიზნით საგამოძიებო უწყებებისათვის გადაცემული სუბიექტების რაოდენობას. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹¹ მუხლის საფუძველით სანქციის გამოყენება არ არის შრომის ინსპექციის კომპეტენცია.

დანართი N1 და დანართი N2-ის სახით წარმოგიდგენთ დაჯარიმებული და საგამოძიებო უწყებებისათვის გადაცემული სუბიექტების რაოდენობას თვეების ჭრილში.

პატივისცემით,


მთავარი შრომის ინსპექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელმფთრონულად




ბექა ფერაძე

2020-2021 წლებში საქართველოს ადმინისტრაციული საგარტალდარლვევატა კოდექსის 42¹⁰ მუხლის საფუძველზე დაჯარიმებული სუბიექტები



2020-2021 წლებში საქართველოს ადმინისტრაციული საგარტალდარლვევატა კოდექსის 42¹⁰ მუხლის საფუძველზე დაჯარიმებული სუბიექტების მიერ განხორციელებული დარღვევის შემდგომი საგამოძიებო უწყებისათვის გადაცემული სუბიექტების რაოდენობა





**შრომის
ინსპექციის
სამსახური**

2020-2021 წლებში საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე დაჯარიმებული და განმეორებით დარღვევაზე შსს-სთვის გათვლების მიხედვით

თვე	2020 წელი		2021 წელი
	დაჯარიმებული სუბიექტები	განმეორებით დარღვევაზე შსს-სთვის გადაცემული სუბიექტები	დაჯარიმებული სუბიექტები
იანვარი	0	0	12
თებერვალი	0	0	24
მარტი	0	0	17
აპრილი	0	0	39
მაისი	0	0	13
ივნისი	24	0	7
ივლისი	35	0	3
აგვისტო	1	0	44
სექტემბერი	17	0	8
ოქტომბერი	33	0	1
ნოემბერი	8	4	11
დეკემბერი	33	1	12
სუბიექტების ჯამ	151	5	191

დექსის 42 მე-10 პრიმა დაცემული სუბიექტები
21 წელი
განმეორებით დარღვევაზე შსს-შთვის გადაცემული სუბიექტები
0
1
3
5
0
3
0
5
2
0
1
6
26



12025/4-2/21 2 09122021

12025/4-2/21
09-12-2021

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ მედეა ჯანიაშვილს


ქალბატონო მედეა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თქვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი თვეების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე





KA020314251234521

თბილისი, 0105, სახაპიროს 4 ტელ: 2-43-69-99, ფაქსი: 2-43-69-99
4 Sanapiro st. 0105, Tbilisi, Georgia. Tel: (+995 32) 2-43-69-99, Fax: (+995 32) 2-43-69-99
E-mail: info@gnta.ge, www.georgia.travel

N08/667

29 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის
წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

საკონტაქტო ნომერი: (995 32)
2281679
ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ბატონო მიხეილ,

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განიხილა თქვენი 2021 წლის 9 დეკემბრის N2991 წერილი, რომელშიც მოთხოვნილია ინფორმაცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილების ფარგლებში ადმინისტრაციის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

თქვენ მიერ ზემოხსენებულ წერილში მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მოქმედებს საკუთარი, წინასწარ დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბრის N1-1/642 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებს განეკუთვნება: საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე, ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ან/და სხვა შემოსავლის წყაროს საშუალებით, საქართველოს პოპულარიზაციისა და საერთაშორისო და შიდა ტურისტული ნაკადების ზრდის მიზნით, ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების რეკლამა/პროპაგანდა, ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების განხორციელება სცილდება ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებს.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილების ფარგლებში, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების განმახორციელებელ ორგანოს.

პატივისცემით,



12023/4-2/21 2 09122021

12023/4-2/21

09-12-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თქვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი თვების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 308/01
14/01/2022

308-01-2-202201141532



საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N12023/4-2/21; 09-12-2021 წერილი და გაცნობებთ, რომ სამინისტროს კომპეტენციიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენა არ განეკუთვნება სამინისტროს კომპეტენციის საკითხს, (კოდექსის 42¹⁰ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო) შესაბამისად არ გაგვაჩნია ინფორმაცია წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12027/4-2/21 2 09122021

12027/4-2/21

09-12-2021

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თქვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი თვებების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

11470-08-03-2-202202091411

N 08-03/11470
09/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

განვიხილეთ თქვენი 2021 წლის 9 დეკემბრის N12027/4-2/21 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების თაობაზე და დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების რაოდენობის შესახებ.

რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹¹ მუხლის (პირბადის ტარების წესის დარღვევა) პირველი ნაწილით (პანდემიის ან/და ეპიდემიის დროს დახურულ საჯარო სივრცეში პირბადის ტარების წესის დარღვევა) გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ შედგენილია 2 (ორი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი



ოქმების რაოდენობა

თვე	2020			2021		
	რეზიდენტი	არა რეზიდენტი	სულ	რეზიდენტი	არა რეზიდენტი	სულ
იანვარი				8	116	124
თებერვალი				13	123	136
მარტი				11	132	143
მაისი	4	34	38			
ივნისი	90	174	264			
ივლისი	59	176	235			
აგვისტო	31	200	231			
სექტემბერი	40	168	208			
ოქტომბერი	18	179	197			
ნოემბერი	27	167	194			
დეკემბერი	20	162	182			
ჯამი :	289	1260	1549	32	371	403



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12026/4-2/21 2 09122021

12026/4-2/21

09-12-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თქვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ და 42¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების კუთხით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი თვებების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 4 22 00370915



12/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

2021 წლის №12026/4-2/21 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებული აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, დანართის სახით წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს, სამინისტროს დანაყოფების მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ ("იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა" - ამოქმედდა 02.05.2020წ.) და 42¹¹ ("პირბადის ტარების წესის დარღვევა" - ამოქმედდა 12.06.2020წ.) მუხლებით გამოვლენილ სამართალდარღვევათა შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

შ.ს.ს.

მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარაბველიძე



შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში კომპილირებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ ("იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა" - ამოქმედდა 02.05.2020წ.) და 42¹¹ ("პირბადის ტარების წესის დარღვევა" - ამოქმედდა 12.06.2020წ.) მუხლებით გამოვლენილი სამართალდარღვევები

მუხლი	ასკ 42 ¹⁰ მ. - 02.05.2020 - 30.06.2021წ. ასკ 42 ¹¹ მ. - 12.06.2020წ. - 30.06.2021წ.		2021 წელი (ივლისი-ნოემბერი) (წინასწარი მონაცემები)	
	ფიზიკური პირი	იურიდიული პირი	ფიზიკური პირი	იურიდიული პირი
ასკ 42 ¹⁰ მ.	20561	60	2275	26
ასკ 42 ¹¹ მ.	215195	14	46074	6

2021 წლის (ივლისი-ნოემბერი) მონაცემები დათვლილია 15.12.2021წ.

შენიშვნა:

1. გთხოვთ გაითვალისწინოთ, სტატისტიკური მონაცემები ასევე მოიცავს 2021 წლის 23 ივნისამდე გამოვლენილ სამართალდარღვევებს, რომლებზეც უკვე გავრცელებულია 2021 წლის 7 სექტემბერის საქართველოს კანონი "ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ".

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზირებული მეთოდოლოგია, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ.

აქედან გამომდინარე, საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს მრავალჯერადად - პირველადი, შუალედური და შემოწმებული ანგარიშების სახით.

ამავდროულად, დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზის სტრუქტურული რევიზირებისა და არქიტექტურული განახლება-რეორგანიზაციის პროცესები, რომლის საბოლოო დასრულებამდე, ზღვრული საშუალო სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში არსებობს მონაცემთა შემდგომი ცვლილების გარკვეული ალბათობა.